

ახალი რედაქცია

თბილისი, 2 აპრილი, 1915 წ.

ფასი 10 კაპ.

იუმორის გ. უტუნალო




აშაქის აპოკალიფსი



№ 13

კინე. ქარ. ამხ.

ქახეთის რკინის გზაზე



ლელია

კინე. ქარ. ამხან

პონდუქტორი. ჩამოჯექი ღიღელ ვაგონში ჩვენ ავიყვანთ ბალიურამდე.
მოსუცი. ვმადლობ შეილა გულკეთილობისათვის, მაგრამ არ შემძლია, ძლიერ მეჩქარება.

მესამე ზუნკტის ძალით.

დათიკოს, ალბათ, ყველა იცნობთ, რასაკვირველია, იცნობთ! არა?

სახელი ესაა, გითხარით, გვარს კი, უკაცრავათ, ვერ მოგახსენებთ. დამეთანხმეთ, მიტი რომ არა ვსთქვით, ჩემი მხრით უზრდევლობა იქნება მეგობარი ასე სააშკარაოზე გამოვიყვანო.

დათიკო ასე 24—25 წლის ყმაწვილი კაცია, შავვრემანი. რუსები რომ იტყვიან ЖУЧИЙ ДРЮ-ПЕТЬ, ტანადი, ფართო მხარ-ბეჭიანი, მაღალ შუბლზე თმა ნაპოლეონისებურათ აქვს ჩამოვარცხნილი, წვერი — a la bulange, შეკრეჭილი, უღვაში — ანანოვის გოკივით აპრეხილი და ზემოთ ლამაზთ მოკაუტებულები. მთელი მისი მზრუნველობა ამ უღვაშებზეა მიმართული. მე ერთი გატეხილი სავარცხელი მაქვს, წვერსაც იმიტოვებ და თმასაც, დათიკოს კი უღვაშისთვის განსაკუთრებული სავარცხელი აქვს, პაწაწინა, სულ პაწაწინა, პატარა შუშის ყელში თავისუფლად ეტევა. აქვს აგრეთვე პატარა შუშაში რაღაც სურნელოვანი ზეთის მავგარი სითხე. რა სითხეა ის, სწორედ მოგახსენოთ, არ ვიცი. ეს დათიკოს სეკრეტია, ასე ადვილათ არ გაგიხვდეს. აი, ამ სითხეში ჩაუცოფს თავის პაწაწა სავარცხელს, დაასველევს და ყოველ დღით ასე ივარცხნის. შემდეგ ზემოდან კოხტათ შემოუტერს. ერთ სათს შემდეგ საქაჩავებს უღვაშებიდან ჩამოიხსნის და მაშინ უნდა ნახოთ, რა კოხტათ დაუდგება უღვაშები, სწორედ სულში ჩაიძვრენ. ქალიშვილები ამ უღვაშების სილამაზით ირევიან. დათიკო, ალბათ, კარგათ გრძნობს ამას და სწორედ იმიტომ, რომ უღვაშებს ასე უვლის და ულოლიავებს.

დათიკო პოეტია. მართალია მისი ლექსები თქვენ გაზრდებში არსად წაგიკითხავს, მაგრამ ეს ჩვენი რედაქციების ჩამორჩენის ბრალია. აილო ვერ ატლეს, ვერ დააფასეს მომავლის პოეტი. ერთ-ერთი გაგზავნა თავის ლექსი რედაქციაში, არ დაუბეჭდეს. იგივე ლექსი მეორე რედაქციაში გაგზავნა, არც იქ დაუბეჭდეს, შემდეგ მესამეში — არც იქ. ბოლოს თავი გაანება. მიხედა, რომ მისი პოეზია ვერ დააფასეს; ვერ გაიგეს და ახლა უღვაშად გზავნის გაზრდებში დასაბეჭდათ. ისე კი ბევრსა სწერს. ერთი უშველვებელი რვეული სულ ლექსებითა აქვს გადატვირთული. მართლაც თანამედროვეთ გაუქირდებთ მისი გაგება. ის ხომ ფუტუ-

რისტია, ე. ი. მყობადის, შემდეგი დროის პოეტი. ერთხელ მასთან გახლდით და, ის რომ გარეთ გავიდა მისი რვეული გადავშალო და პატარა ნაწყვეტის ამოწერა მოვასწარ. ბევრი ვუკირკიტე; მაგრამ ვერაფერი გავიგე. დარწმუნებული ვარ, თქვენაც გაგიკირდებთ გაგება. აი ეს ნაწყვეტა:

„მომავლზე ზღვა უფსკრულის სხივები,
შვის სხივთაგან ნაქარგ გულმკერდ ბურთებში
ჩამიტანგე, თავი ჩამარგვიანე,
მაწუწუნინე გესლი-შხამი ნექტარი
საროს ტანზე, გველო შემოხლანჯულო,
ჩამსუნთქე და ამაფრინე ლეტაში!“

გაიგეთ რამე? ვერაფერი? „მომავლზე ზღვა უფსკრულის სხივები“. ზღვა უფსკრული თვალში უნდა იყოს, ე. ი. ეშხით შემომხედო. „შვის სხივთაგან ნაქარგ გულმკერდ, ბურთებში ჩამიტანგე“ გულ მკერდი და ბურთები ადვილი გასაგებია, მარა ეს „ჩამიტანგე“ ბევრი ვეძიე მარა ვერც ჩუბინოვის ლექსიკონში ვიპოვე და ვერც ს. ორბელიანის. ახალი სიტყვა უნდა იყოს, თვით დათიკოსგან მოგონილი. ეს სიტყვა ძალიანა პავეს ახალ მოდურ ცეკვას — „ტანგოს“ — ე. ი. მიწებებით, მიკვრით ცეკვას. შეიძლება ასეთი მნიშვნელობითაც იყოს ნახმარი... „მაწუწუნინე გესლი-შხამი-ნექტარი“ — ნექტარის წუწუნა კიდევ მესმის, მარა ეს გესლი და შხამი რაღა ჯანაბათ დასკირდა, ვერ გამოვიდა. „საროს ტანზე, გველო შემოხლანჯულო, ჩამსუნთქე და ამაფრინე ლეტაში“... ლეტა ბერძნულია — ზღაპრული მდინარე, რომელსაც დავიწყების მდინარეს ეძახიან. „ამაფრინე ლეტაში“ — ვითომ თავ-დავიწყებას მიმეცო, მაგრამ ამ „გველო შემოხლანჯულო ჩამსუნთქე“ — სი კი არაფერი მესმის. ეს რაღაც მიუწოდებელი სიმბოლოა, ალბათ ამ ლექსის აზრი და მთელი მისი მშვენიერება ამ სიტყვებშია ჩაქსოვილი.

დათიკო ერთი მაღალი სახელმწიფო დაწესებულების დაბალი მოხელეა. სამსახურში თავისი უღვაშების წყალობით ხშირათ აკვიანდება და საქმესაც უგულოთ ეკიდება. კანცელარიაში საქმის ჭაღალდების ნაცვლათ უფრო ხშირათ თავის ლექსებსა სწერს. არც უფროსია მისი მადლიერი, მაგრამ ერთი გავლენიანი მანდილოსნის ხატრით, რომლის პროტექციითაც ის მიღებულა, სამსახურიდან ვერ ითხოვს.

დათიკოს მაჰაკაცების საზოგადოებაში იშვიათად ნახათ, მუდამ ქალებშია გართული და სარგებლობს კიდევ მათი სიყვარულით. ბუღვარში

მისი საყვარელი ადგილი—ეს შეყვარებულთა ხეივანია, სადაც ყოველ საღამოს შევიძლიათ ნახოთ ის რომელიმე მშვენიერთან სკამზე ჩამომჯდარი, ან ხელგაყრილი მოსიერი. ეს ერთი ხანია, დათიკო ერთ ღამას ეკურკურება. მის ნამდვილ სახელს ვერ გეტყვით, ისე თუნდ ღარეჯან დავარქვათ. ღიახ, კაი ხანია დათიკო მას ფარვანასავით თავს ეგლება, მარა ჯერ მის დაწვთაგან ვარდი არ მოუწყვეტია. დათიკო მიანც იმედს არა ჰკარგავს, აღრე იქნება თუ გვიან დარეჯანიც მის ქსელში გაეზმება.

დღე ისე არ გავა, რომ დათიკოს თავის სატრფოსაგან რამდენიმე წერილი არ მოუვიდეს, ზოგი ხელმოწერილი, ზოგიც უსახელო.

ამ რამდენიმე დღის წინათ ერთი უსახელო წერილი მოუვიდა, რომელშიც მას მეტად ცუდი საქმე შეამთხვია, მარა ამაზე შემდეგ, ახლა კი წერილის შინაარსი მოვისმინათ.

„ჩემო საყვარელო, გონებიდან განუშორებელი, ჩემო თვლის ჩინო, ჩემო ხატო, ჩემო დათიკო!

შენ რომ გნახე, მას შემდეგ დავკარგე მოსვენება. შენი სახე მუდამ თვალწინ მიდგას, ძილი აღარ არის ჩემთვის და მოსვენება.. წამოვლემავს თუ არა ცოტათი, შენი სახე თავს წამომადგება, იბრები საოცნელათ... მესმის შენი სუნთქვა, ვგრძნობ შენი უღვაშის ლოყაზე მოცაცუნებას... მკლავებსა ვშლი, მინდა გულოში ჩავიკრა მაგრამ... ოო, საშინელებავ, ხელში სიკარიელე მჩხება. ხელახლა თვალებს ვხუჭავ... Мой дуся, мой Котик! იცოდე, არის ერთი საწყალი არსება, რომელსაც შენ თავდავიწყებით უყვარხარ, შენი გულისთვის წყალში გადავარდება და სამაგიეროს ის შენგან არაფერს არ მოითხოვს. ის იმიტაც ბედნიერია, რომ ხანდახან თვალს მოგკრავს, სიზმარში გხედავს. ჩემს ვინაობას შენ ვერ გაიგებ და არც მინდა გაიგო. ვერ წარმოიდგენ რა მშვენიერია, რა წარმატატი ასეთი საიდუმლო საყვარული! „შორით ბნედა, შორით კდომა, შორით ალვა, შორით დავვა“.

სიკვილიამდი შენი უცნობი“.

დათიკომ აღტაცებით წერილი ტუჩებზე მიიკონა და კაცნა დაუწყა.

— მისია, მისი! ჩემი დარეჯანის, ჩემი ოცნების საგნის! „უცნობიო“, რა ეშმაკია, უნდა გზაკალი ამბინოს და კიდევ მაწვალოს, მაგრამ ვერა, ვერ მომატყუებს. აწი კი ვეღარ გამისხლტება ხელილ-ნ. ისიც კმარა, რაც ამდენხანს მაწამა.

დათიკომ წერილი კვლავ ტუჩებზე მიიკონა.

— წერის შრომანას საამური სუნის სდის... ეს ხომ მისი საყვარელი ოდეკოლონის სუნია! მისია, მისი! რა თქმა უნდა მისი!

— დღეს უეჭველათ უნდა ვნახო უეჭველათ! მაგრამ ამ საღამოს სამსახურში რომ უნდა წავიდე?! ძალიან საჭირო საქმეა. უჩნოთ ვერაფერს გააწყობენ... უფროსმა დღეს განგებ ორჯერ გამაფრთხილა: უსიკვილოთ უნდა მოხვიდეთ. მეც პატიოსანი სიტყვა მივეცი. მაგრამ ჯანაბას სამსახური! დღეს უთუოდ უნდა ვნახო ჩემი მკვლელი, ჩემი ღვთაება. მაგრამ როგორ, სად უნდა ვნახო?— რა თქმა უნდა, კლუბში. დღეს საოჯახო საღამო კონცერტითა და ცეკვით და ჩემი დარეჯანიც უთუოდ იქნება. რომ არ იქნეს? შეუძლებელია! მუდამ დადის და რალა დღეს არ წავა მიანცა და მიანც. ყოველ შემთხვევაში წერილს მივწერ რომ წავიდეს.

დათიკომ ქილადი გამოიღო და წერა დაიწყო:

„ჩემო სიკოცხლის მაისიკოვენებელი, ჩემო სულის კლიტე, ჩემო დარეჯან!

ორი დღეა, რაც ჩემ თვალს შენი მშვენიერი სახე არ უხილავს, შენი გიშრის ზღვის ტალღებში არ უბანავია, შენი საროს ნაზი რხევით არ დამტკბარა. ორი დღეა, მხოლოდ ორი, მაგრამ ეს ორი დღე ჩემთვის მიეღი ორი საუკუნეა. დავდნი, დავიტანჯე. მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. ამდამ თუ კიდევ ვეღარ გნახე, უსათუოდ რამეს ავიტებ. მაგრამ არა, გნახავ უეჭველათ გნახავ! წინათ გრძნობა მეუბნება, რომ გნახავ. ამ საღამოს სამსახურში ძლიერ საჭირო საქმე მაქვს და უფროსსაც პატიოსანი სიტყვა მივეცი მოვალეთა, მარა ჯანაბას სამსახურიც და უფროსიც! Пропали мои телъга, всъ четыре колеса! შენს ნახვას ყველაფერს ვანაცვალვებ. ზოგიერთსავით „შორით ბნედა, შორით კდომა, შორით ალვა, შორით დავვა“ მე ვერ მაკმაყოფილებს, პართალი გითხრა ამისთანა საყვარულის მე არაფერი მწამს. მე მინდა ჩემი სატრფიალო საგანი მუდამ ჩემთან იყოს, მისი აღერსით ვტკებოდე, თავს ვევლებოდე, ვეკონებოდე... ამ საღამოს სამსახურში აღარ მივდივარ, კლუბში ვიქნები, იქ გნახავ ჩემო ნეტარებავ ჩემო ნეტარებავ, უეჭველათ გნახავ.

სიკვილის შემდეგაც შენი „ნაცნობი“.

დათიკომ წერილი გაათავა, გაეკა და განუხე

გადადვა. შემდეგ მეორე ფურცელი აღო და უფრო სისაღმი რაპორტის წერა დაიწყო!

მის აღმატებულებას მეორე დეპარტამენტის უფროსს.

სტოლის უფროსის დავით აიძინას ძე რეტიანიძის

რაპორტი.

რადგანაც დღეს უეტრად გავცვიდი და მძიმე ავად შევიქენი, ამის გამო სამსახურში ვერ ვიახლებით.

სტოლის უფროსი დავით ბიძინას ძე რეტიანიძე.

დათიკომ ეს რაპორტიც დაკეცა. ორი კონვერტი გამოიღო ზედ ადრესები დააწერა და წერილი და რაპორტი შიგ ჩადვა. შემდეგ ორ-ორ კაპეიკიანი მარკა დააკრა და მსახურს ფოშტის ყუთში ჩასაგდებათ გაატანა.

მაგრამ აი ხათაბალა! საღამოს უფროსისაღმი რაპორტი სატრფოს მიუვიდა, სატრფოს წერილი კი უფროსს. აღბათ კონვერტები შეეცვალა. უფროსმა, რასაკვირველია, მაშინვე იცნო დათიკოს ხელი და კარგათ მიხედა მის ოინბაზობას. გაბრაზებული უფროსი თავის კაბინეტში დაქრილ დათვივით ღრიალებდა და პირიდან დორბლებს ჰყრიდა. დათიკო კი კლუბში იჯდა და თავის გულის კამეჩა მოელოდა. დიდხანს, დიდხანს ელოდა დათიკო თავის სატრპოს, მაგრამ ამით. მის დარეჯანს აღბათ ტკბილათ ეძინა ამ დროს ლოგინში.

გვიან, ყველაზე გვიან გამოვიდა დათიკო კლუბიდან. გამოსვლისას კარებში მსახურმა დათიკოს მოზრდილი კონვერტი გადასცა.

დათიკომ კონვერტს უცებ თავი გადახია, წერილი ამოიღო და შიგ შემდეგი ამოიკითხა:

„მოწყალეო ხელმწიფევი! მესამე პუნქტის ძალით თქვენ დღეიდან სამსახურიდან დათხოვნილი ხართ. თვალთ არ დამენახათ კანცელარიაში.

მეორე დეპარტამენტის უფროსი პეტრ პეტროვიჩ პეტროვი.

!!!.

ნ—ლი.



შატარა ფელეტონი.

I

„ამაღ მმსახურებენ მე, ასწავებენ მცნებასა და მოძღურებასა კაცთასა“.

სახ. მარკოსისა.

თქვენ იცნობთ აღბათ ცინცადეს გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორს, მაზედ ამ ხანად ბევრს სწერენ — ზოგს მართალსა და ზოგსაც ქორს!

მაგრამ ჩვენ სხვისას არ ვისმენთ, რაც ვიცით, ის ვსთქვით სჯობია; ვით რედაქტორი არ ვარგა — არც დიდი პედაგოგია..

ოცხელთა შორის მოუხდა მას რაღაც კინკლაობა, შკოლიდან გამოაძევენ — საქმე ქნეს დასაგმობია!..

ვინ არის მათში მართალი? ეგ ძნელი გასაგებია, ამბობენ: თურმე „სამშობლოს“ ქალღიდი შემოჰკლებია.

სწორორეთ იმ ხანაა იაკობს მუშებიც გაჰფიცვიანო და მისი პირმშო ორგანო ფერადათ გამოიდანო.

გაბრაზებულსა რედაქტორს არ უცივე-უცხელეზბია და თითონ ოცხელისათვის ფეთება უჩვენებია.

ოცხელი რის ოცხელია არ გაუმკლავდეს ორ-ხელთა, დადგა „სეზონი“ — იაკობს დრო შერჩეული უხელთა!

და.. უპანღურეს საბრალოს არ გასქრა ძველ მეგობრობამ, და ეს შესძინა იაკობს „სამშობლოს“ რედაქტორობამ.

II

„თუ ქართლში ვირზე შევდგომა სირცხვილია, აქ ბუნებრივითა და აუცილებელიც“.

დ. კასრაძე.

ნუ დავსტოვეთ უხეივითა ჩვენ გაზეთსა „საქართველოს“,

თან ვუსურვოთ, რომ ალლახმა
მას კასრამე შეაბეროს!

როგორც ვიცით სიღნაღისკენ
ის ქაბუკი მოგზაურობს,
ბევრი რამის მნახველია
ბევრსაც თურმე ისმენს, ყურობს!..

და, ყველა ეს მას ქალაღლზე
გადააქს და ღვაწლს არ შურობს,
ჩა ქნას, უნდა მან მკითხველნი
დაატკბოს და დააბუროს!..

ღმერთმა გზა მშვიდობის მისცეს -
აღბათ ნიჭი შესწვეს მისა,
დიდებულათ აგვიწერა
მან „ჩაქაჩაკი“ ვირებისა?

პოეზიით დანამთვრალი
ხან იცინის, ხანაც სტირსა,
მაგრამ „ვირჯუკათ ორკესტრი“
მას ავიწყებს დარდებს, ქირსა!..


მყის ეცლიება „სევდის ღრუბელს“
ველარ ამჩნევს „გლეჯა-ფლეთას“,
გარინდული სიმფონიით
თვით ეძლევა ნეტარებას..

გზა-და-გზა მას მგობარნი
„გაბანელებს ბინოკლითა“,
სქვრეტს-რა სოფელს, სტკებება მითი
და უფრო კი ვირებითა!..

ჩაღა უშავს „საქართველოს“ —
მსგავსი თანამშრომლებითა,
მკითხველთ მრავლათ შეიძენენ
ვიცით დანამდვილებითა!

„კლდის“ ლაშქარმაც დაიკვებოს
ამ ღირსეულ შვილებითა!..

ალბურონი.



მეგაზეთეს გასაჭირი.

გულში სევდა შემებარა
ვწუხვარ, არ მიცინის პირი,
რადგან ჩემი სხვისას არ გავს
უსამართლო გასაჭირი.

მეომართ არ ვარგივარ
„ღრუჟინაში“ ჩავეწერო,
არც სხვა ვიცი რამ ხელობა
მივიღო და შევიფერო.

ფულიც არ მაქვს რომ ვივაქრო
„დარდნელის ნიხრის“ კვალათ
(თამასუქებს იქით ვაძლეე
სიმინდს და პურის ვალათ).

არც ხამი ვარ რომ კაცმა სთქვას
საქმეც ბევრი გამოვცადე,
მარა იმას ვერ ავშორდი

რა ვარსკვლავზეც დავიბადე.
ვგ ვარსკვლავიც იმისა ჰგავს
ვინც დიდს უძლებს გასაჭირსა
სხვები თვის ვინც ჯორებსა შობს
და თავისთვის მუტრუჟი-ვირსა.

გლეხი ვიყავ, ყანის თონხით
ვაძოდულე 1) მთა და ველი
მინც სანატრულია მქონდა
ტარანი და ტყემლის წვენი.
გიდასახადს ვერ ვიხდიდი

„რასხოდი“ და „დრამის ფული“
„ელონიკათ“ მედებოდა
ცხონდა ჩემი მოძღვრის სული.

ხან მაკლიდა ერთ წელიწადს
ხან ორს ერთად მოითხოვდა
(„თვითონ სულაც არ უნდოდა
მარა მასაც სხვამ სთხოვდა“)

„სტრაჟობაში“ ჩავეწერე
და რომ გამეტანა ლელო 2)
ჩემს პედაგოგ იაკინთეს

კიდეც მივე გასამრჯელო
(სად ხარ ძველო სამართლო
და ქართველო ძველის ძველო
მასწავლებელს „კაკარდაში“
გაუცვლია საქართველო).

1) მოძულე—დაღალული, გამოფიტული.

2) ლელო—დანიშნული ადგილი სადაც თამაშის დროს
ბურთი უნდა მიიტანონ.

მე იქაურ „დისციპლინას“
 სულაც ვეღარ შევეგუე
 საძღვრის გიჟმაჟე „არაქსასაც“³⁾
 ვერაფერი ქაუა ვსთხუე.

ჟურნალ „კელოსაც“ ვკითხულობდი
 (რცით მაში რა ეიპოვე?
 მართო ის რომ შიგ მწერლობდენ
 ფილიპე და ჩვენი ნოვე).

არაქსიდან ბედის ნავით
 ოკეანეც გადავსცურე
 (გადავლახე ხმელეთი და
 ზღაპრულ პადე-კალეს ყურე).
 ამერიკაც მოვიარე
 ინგლისიც და საფრანგეთი
 საიდანაც დამჩენია
 მოგონება ერთათ-ერთი.

ბედმა იქაც არ მისურვა
 და მიჩინა ბინათ ფოთი
 სადაც ბევრი შემხვედრია
 და შემხვებება კიდევ უფოთი.

მარა ხელობა მაქვს „კარგი“
 (გაზუთების დატარება)
 მე ამაში შევაკვლიე
 წუთი-სოფლის „ნეტარება“

რატომ მიყვარს ნულარ მკითხავთ
 იქნებ ვერცკი გიბასუხოთ
 (თავი „საქმის კაცად“ მომაქვს
 ბევრი რომ არ შეგაწუხოთ)

თუმცა სხვები დამცინიან
 მათ ვგონივარ მონაგარდი⁴⁾
 მე იგინი ბებრალებმა
 და მაწუხებს მათი დარდი.

მახსოვს ერთხელ მუშას სახლში
 ჩვენს გაზეთს რომ უზიდავდი
 (მიზებს ქვევით მოგახსენებთ
 დიასახლისს არ უყვარდი)

ქალი ბატებს მიდენიდა
 „გაზეთი“ რომ დაუძახე
 (ერთი კიდევ შემიკურთხა
 რომ იხილა ჩემი სახე).

საბატესთანც მივანწიე
 მან ბატები ვერ შედენა
 (ამის ბრალსაც მე ვადებდა
 გასახმობო მისი ენა).

როგორ გაუშტერებინარ
 შენ სალოცავ ხატებსაო
 ვერ შევედენე ხომ კი ხედავ
 დახთი აქეთ ბატებსაო“.

მეც გაეშალე გაზეთები
 ბატებს დავხთი მამაცურა
 (თუმცა გულში კი ვფიქრობდი
 „ქალს და ბატებს ეცეს ტურა“)

შეუსრულე დიასახლისის
 გაჯავრებით რაც მიბრძანა
 როგორ ფიქრობთ! თავის თავათ
 ის მტყუანი იყო განა?

სულაც არა, მან რცოდა
 გაზეთებს რომ ფული უნდა
 ქმარს რომ ამას ვერ უშლიდა
 მეგაზეთეც მიტომ სძულდა.

არამც თუ სხვა თვით მკითხველიც
 გაზეთის ფულს რომ იხთიდა
 ის ამ საქმეს რედაქციის
 დიდათ შემწეობას სთვლიდა.

თუმც მრავალ გვარ დამცირებას
 ამ ხელობით განვიცდიდი
 გულს იმედი მეხატოდა
 მომავალზე რაღაც დიდი.

მე ხან „მოველს“ ვიგონებდი
 „ზაქარიას“ უფრო ხშირათ
 ჩემის ქუთით და ჩემს გულში
 „ვიდექი მათ პირდაპირათ“.

მარა ჩემმა ბედმა იქაც
 მოიხმარა თავის წესი
 პირ უკუღმა მომამკია
 ყანა ჩემგან დანათესი.

აღგილობრივ საკითხებზე
 ვინმემ რამე თუ დასწერა
 რადგან ვყიდი, მე თუ არ ვსწერ
 კაცმა აღარ დაიჯერა.

აგი ვიღაც „ბუტუნაა“
 ამან სულ არ მომასვენა
 დიდ-პატარას აღარ არჩევს
 ჩასაწყვეტი მისი ენა.

სხვა ხელობა მე არ ვიცი
 გაზეთები თვარ გავყიდე
 და ამ საქმით ეს ქალაქი
 ლამის მრთელათ ვადვიკიდე.
 დაე მოხთეს რაც მოხთება
 ეგ სიმწარეც ბევრი ცსცადე,
 ალბათ ეხლა მივგენი
 მე რისთვისაც დავიბადე.

³⁾ არაქსა—მდინარეა სუსეთ-პერსიის საძღვარი.

⁴⁾ მონაგარდი—გამოუსაღვარი.

დეპეშები.

ფოთი. ცენტრალურ საყავეში ბ-ნ კ. გ-ს მე-თაურობით დაარსდა ქართული „შემნახველ გამსესხებელი“ საზოგადოება „ზარი“*) წევრები და საწევრო ფული ყველა მდგომარეობის და რაოდენობის მიიღებიან; მაგალითად, როგორც სახლში წასაღები ერთი ფული ფქვილის (მჭადის) ფასი ისე ვალაზე ვექსილების გამოსახსნელი 50 - 100 და მეტი მანეთიც, მიუხედავად იმისა რომ ხშირად ვექსილებთან ერთად საფქვილე ტომარაც „პროტესტში“ მიდის (უკანასკნელი კი უფრო საშიშარია), აპერაცია მუდმივია. დივიდენდით განძრახულია ღვინის „მეურნეობის“ მოწყობა, (რადგან ამ დარგში ნ. ნიკოლაძის პროექტი იგვიანებს) წესდება საზოგადოების იმით არის საინტერესო, რომ საწევრო ფულის „ჩეკი“ (ძვლების არის) ვისაც მწმ 3/3 5/5 6/6 ან 5/6 შეხვდება იგი მაშინვე შეტანილ ფულებს ერთი ორათ იბრუნებს დივიდენდით და წევრათაც რჩება ხოლო, ვისაც მწმ 2/2, 4/4, 1/2 ერგება იგი როგორც დივიდენდზე ისე „ოსნოვნი კაპიტალზეც“ ხელს იღებს და წევრობიდანაც თავისუფალია, რისთვისაც ყოველ ღონეს ხმარობს ისევე ჩაეწეროს თუნდაც საფქვილე ტომარაც წავიდეს „პროტესტში“.

სასურველია ამ „სიმპატიურ“ „აღებ მიცემობითი“ საქმეს ქალაქის მამანი და ძმანი ხელს შეუწყობდენ.

ბუტყუნას სააგენტო.

გამოცანები.

(სამიქაოს საზოგადოებისათვის)

ს. მაიდანია.

ქკუით, აზრით, სამსახურით
შესახედათ თანასწორი.
უყვართ სული, პოლიცია,
ეჯავრებათ კაცი სწორი.

*) ზარი - სასულიერო ტერმინით სამგლოვიარო გაღობას ნიშნავს, რომელიც ძველად მიცვალებულის მოტირალს მიუძღოდა წინ, ხოლო ყომარბაზულათ კამოლების ერთგვარი თამაშია, რომელიც ხშირად სასულიერო ტერმინითაც საქიროებს „ზარს“ თავის წევრებისათვის.

ერთ მათგანმა აქ სოროში
სამი წელი გაატარა
და კინალამ კაკარდები
სანაგვეზე გადაყარა,
რადგან სოფლათ გასაწვევი
ჯარის კაცი დაიფარა,
ბრმა გზით ასე ანაღები,
მან ქანქარი შეიყვარა.
მეორე კი ბანკში მეფობს,
ფულებს ფლანგავს როგორც უნდა...
თუ შენიშნე კიდეც ყვირის
ავი პალოგების გულა.

ს. სამიქაო.

ჰა ქავსწირავ მე ცოდილი,
მიწიერი, სულიერსა,
კრივ მათრახით მოვარჯიშეს
ბოქაულის შესაფერსა.
ზოდელ*) დამხრჩავლ გვამებზე რა
შეეჯახა მღვდელი მღვდელსა:
ჩემს სამრევლოს უპოვნი
არა ჩემსა! არა ჩემსა!
სახლ-კარ-მიწა დაქცეულებს
პანაშვილის აართვისა
კაპეკია ასი**) თითო
თითოულმა გაიყვესა.

ს. გეზათი.

თვე არის მხოლოდ მას შემდეგ
ქალაა ბიჭი მონათლეს,
მასწავლებლისა ცემისთვის
მას „ტარიელი“ უწოდეს.
ატარებს სახელს გმირისას,
ენით უჯარო სარდალი
იმდენს ყლოყინობს რაც მავას
არ შესწევს ღონე და ძალი.

ს. ქოლობანი.

ხალხის მცველი, ხან კი მტერი,
მედავითნეთაც ყოფილი.
რაინდობა ნაგვეები,
დღეს მუხლი სახლში მოყრილი.
შვა ტანის, შავი, ყვითფლა
ზამთრობით წითლათ წყობილი
ექიმი ბავშვა ზნეობის,
ნადავითნარის დობილი,

*) წყალიდობის გამო დაქცა.
**) რადგან ჩამონათხივი ფული იყო.

როლს რომანიულს თამაშობს,
სხვას ეცილება ძალზედა
(საგულისხმოა: ამ ყამათ
კაცი ძვირია ქალზედა).

კოდარელი.

შ ვ რ ა ლ ა

ფრანგ გენერალის სახელი
თქვენც კარგათ მოგესტენება
ვისაც ამას წინ პეტროგრადს
ჩამობრძანება ენება.

მან ჩამოთვალა რუსეთის
მოლაღატეთა გვარები
(რომლებმაც მუხანათურათ
ადინეს სისხლის ღვარები).

სახელი ამა გენერლის
შარადის დასაწყისია
კვლავ გვინდა ასო მესამე
(ქორონიკონიც მისია).

შემდეგ მოგნახოთ მოშავო
მაგარ სასმელის სახელი
რომელიც სვირში არ მოდის
და ვერც მოიყვანს კახელი.

მგონი კიდევაც ახსენით
რადგან აეწყო შარადა
ქალაქ-სოფლების დამქცევი
ზნეღეთი აწყობს წყნარადა.

ნაძირალ-ბრბოთა ორპირი
მახვილი იარაღია,
ჩამორჩენილი ქვეყნების
იგი საცნობი დაღია

ებრაელ, სომეხ, თათრების
შეუბრალები მტერია,
რჯული არა სწამს, კანონი
მთავრობა, ერი, ბერია
(ვი თუ „კოდოს“ სხვა ფორმით
იგივე დაუწერია?
ამ ერთზე თუ მპატიებს
სხვაზე კი ჯვარი სწერია)

ბუტუნა.



მესტპირული

(ჩოსტაურისთვის)

რა-კი წაველამ, ყორანმა,
განზე აბზიკეს ცხვირია,
დასწყევლეს გულა-ნაბადი,
უკუ მიაგდეს სტვირია—
მოგიკვდეთ ქალი მაროა,
თუ იგი, რაცა მქირია,
მათზე დაკლებათ დაუკრა,—
(ან რაა გასაკვირია?..)
მხოლოდ ამეამად ძველ ჟამზე
ლიღინი გასაქირია,
რადგან ბაზარში ჩამოვლას,
შაბათია თუ კვირეა,
მარადის ხელსა შეუშლის
ქუჩის სიმყარე—წვირეა.

მარა ამაზე ვიმედობ,
ვახერხებ კიდევ რამესა,
ვედრებით მოვსთხოვ აქაურ
ბაზრისა „ღებუტატებსა“,—
ბერაძეს (ტყავის ვაქარსა)
და პავლეს (მეწვრილმანესა),
რათა გასწმინდონ ქუჩები...
(ეს ხომ მათ ვალად აღდგესა?)
თუ გაჯიუტდენ... ვი მათ!
ფვიცავ ჯვარსა და ხატებსა,
სამაგიეროს ვალუხთი,
გამოვაკიდებ კატებსა,

ქართული სიყვარული.



ქართულელმა და აქარელმა დღეს გაიგეს, რომ
 მები ყოფილან. გადაეხვივნენ და დიწყეს კოცნა.
 ჰკოცნეს ერთმანეთი ერთ კვირეს!
 ჰკოცნეს ერთ თვეს!
 ჰკოცნეს ერთ წელიწადს!



— და, როცა გამოერკვივნენ.....

ანგარიშს მოვთხოვე „ბოინზე“
 დიდი ხნის ნავროვ ბაჭებსა
 და ოფლის „წირწიკლ-წირწიკლით“
 გადავაშლიეზ დაფერებსა,
 მით წავაშწარებ დილ-დილით
 მირთმეულ მცვრიან მწვადებსა!..

დიახ, მუქარის შიშითა
 უნდა გასწმინდონ ქუჩები,
 რომ შეღმკობლად არ დამრჩეს,
 ჩოხატაურის ჯრჩები...
 უამისოდ-კი სტვირზელა
 ლიღინს ვერ მოვრთავ საამოს,
 რადგან სუნი დვას სიმყრალის,
 დუქნებში დილა-სადამოს.
 მაშინ დარჩებათ ვაყები—
 ქალებიც შეუქობლადა,

რომლებიც მოვლინებულან,
 ხალხისთვის მანენ ბობლადა...
 ვერც „ბაღნიცაში“ ვერ მივალ,
 სად ღამ-ღამობით ღხინობენ
 და გაჰკვიან „ჟამიერს“...
 უნდომნი მეტათ ჰკვირობენ,—
 ამბობენ: რაში ჩავვარდით,
 გასაკვირია ესაო,
 საავთმყოფო—სალხინოდ,
 ნეტა ვინ დააწესაო?!
 „აკუშერკა“ თუ ფერშალი,
 მარიაა თუ საბაო...
 თუ შევიშლენ ქკულიდან,
 აქიმი არის სადლაო?!
 ჩვენ გული გვიწუხს ტკივილით
 სული ამოვდის ყელშიო,
 ამ დროს-კი აქვე ღხინს მართვენ...
 ჩავარდით ჯოჯოხეთშიო!..
 ვინ არის კაცი, პატრონი,
 აიღოს ჯოხი ხელშიო

და ამით ერთი უთაქოს..
ათად გაღუნოს წელშიო,—
რომ აქ „ბალნიცა“ არსებობს,
ამცნოს უდროო ლოთებსო
და მით სიკვდილი გვაცალონ
უმწყო ავაღმყოფებსო!..


ასე ჰყვირიან უნდომნი,
შველა მათ მეტათ სტირია,
მეც მიტოვ გამოვიწერე
რაქიდან გულა-სტვირია,
რომ ასეთები მოგნახო...
სხვაც ბევრი ცოდვის თავები
და ჯოჯოხეთში მჯდარ ეშმაკს
ვაჩვენო სანახავები,
მარა საქმეა იმაზე,
თუ რომ გასწმინდეს ქუჩები,
თორემ ჩამოვლო ძნელია...
გაიხარებენ უჩრები!..

არვის აქცევს ყურადღებას
დნჯათ დაღის იბღურება.
რა აწუხებს, დრო ხელს უწყობს
და ნავარდობს მის ნებაზე,
შინ თუ გარედ შიშით კრთიან
ნოქრები მის ხსენებაზე.
ის ლოკულობს ლითონს ღმერთად,
არც უქმი სწამს და არც კვირა,
ბევრჯელ ვნახე „დესტინიკა“
პრისხანედ რომ დაუყვირა.
არხეინად კვირაობით,
რომ ვაქრობდა თაღლითობდა,
იმას წარბიც არ შეხრია,
გინებას არ თაკილობდა.
ამისათვის ვერას გასჭირს
მასთან სიტყვა და ყაყანი,
საჭიროა ეშმაკოჯან
მათრახი და მისი ჯანი.

მაროა.

პეტრე.

კომისია.



აპროსტიხი.

(რჩამიჩრელ ვაქართავანს)

იგი არის ჩვენი დაბის
სიამაყე და იმედი.
ალარ უნდა მითქმა-მოთქმა,
არის ვინმე დიდი ყბედი.
კვირა იყოს ორშაბათი
სულ ერთია იმისათვის,
ოღონ შრომობს რა თქმა უნდა
საკუთარი ჯიბისათვის.
ბუმბერაზათ მოაქვს თავი,
მძიმეთ გამოიყურება,

დრამატიული საზოგადოების ერთ ერთ კრებაზე გამგეობამ გადასწყვიტა: 1915 წელს, შემოდგომაზე წარმოდგენების მართვა.

— მაგრამ, ბატონებო, წარმოსთქვა ერთმა გამგეობის წევრთავანმა, წინ გვედობება ერთი მეტად მნიშვნელოვანი კითხვა: სად გავმართოთ წარმოდგენები?.. ქართული თეატრის აშენებას ამ ზუსტულში ვერას გზით ვერ მოასწრებენ. აგრეთვე სახალხო სახლში უხერხულად მიმანია წარმოდგენების მართვა, რადგან მართო ქართული სექციის იქიდან განდევნა არ გვეყოფა. ამიტომ საჭიროა თეატრისათვის შენობის დაქირავება და ჩემის აზრით ამ თავით რომ შეუდგეთ ძებნას, დარწმუნებულად ვარ შემოდგომაზე ჩვენი საქმე კარგად წავა. ჩემივე აზრით საჭიროა სავანებო კომისიის არჩევა, რომელსაც დავედლება ეს საქმე. კომისია ჩვენი მსახიობებისაგან უნდა შესდგეს, რადგან იგინი ძლიერ დახელოვნებულნი არიან პროვინციაში წარმოდგენებისათვის სადგომის დაქირავებაში.

ორატორმა გაათავა თავისი სიტყვა. გააჩაღეს არჩევნები და კამათის შემდეგ გამოაცხვეს კომისია, რომელშიაც მოჰყვეს: ვალერიან წუნია—გამოჩენილი დრამატურგო, რეჟისორი და უუვაპოჩენილესი ბახუსისტი. შალვა დარდიანი - ბახუსისტი.

კუხა ზანზარიშვილი—გამლეტისტი. ალიოშა წრუ-
წუნია და ვასო განგაშიძე.

—

— ბიკო, ვასო. მიმართა ვალერიანმა, სთხო-
ვე იქნებ ცოტაოდენი ფული მოგვეცენ სახარჯოდ.

— ეჰ, მოგცლია სალაპარაკოთ, ვალიკო-ჯანი!
განა არ იცი, რომ ესლა მავათ დახლში თავგებს
სალიტერატურო დილა აქვთ გამართული?.. შენ
ეს მითხარი: ჯიბეში გიქყავის რამე?

— ჰო, უხალთუნინანი და გახვრეტილი, ერე-
კლეს ორ აბაზინი.

— ბიკოს, კაპიტალისტი ყოფილხარ! მე მო-
მბარე, ძმაო, აქ ამოდენა ხალხი ტრიალებს და
არაეინ ამოგაცალოს ჯიბიდან.

— არა! მე თვითონ შევინახე: პირში ჩაეი-
ღებ. პირიდან ხომ ვერავინ ამომაცლის?

—

— აბა, ბატონებო, მიმართა თავმჯდომარემ
კომისიის წევრებს, თქვენ იცით, როგორ ენერგიუ-
ლათ იმუშავენბო... მშვედობით ბრძანდებოდეთ! ნა-
ხვამდის!

— უფალო თავმჯდომარე, მომითმინეთ: სი-
ტყუა მაქვს სათქმელლი, მიმართა თავმჯდომარეს
შალვა დარდიანმა.

— ბრძანეთ!

— ბატონო! კომისიის წევრები ვართ და კარ-
გი იქნებოდა, რომ ცოტა გროშები მოგეცათ.
თქვენც კარგათ იცით, რომ ათასნაირი სხვა და
სხვა ხარჯები გვექნება.

— როგორმე მოითმინეთ. ესლა ფულს ვერ
მოგცემთ, ხმა მალდა უპასუხა თავმჯდომარემ, შემ-
დეგ კი, ჩუმად დასძინა: „შენ, როგორც ყველაზე
მეტრჩარას ცოტაოდენს მოგცემ. მერე კი, როდ-
ესაც თეატრს ავაშენებთ, იმდენს ვეცდები, რომ
დასის „პრემიერად“ დავანიშნინებ შენს თავს.

შალვამ იგრძნო ფულის ჯიბეში ჩაგორიალება,
გაწითლდა (რასაკერველი - მეთი სიამოვნებისაგან).
და ამხანაგებს მიუბრუნდა:

— მოვითმინოთ, ძმებო, და როდესაც თეატ-
რი აშენდება, მაშინ სულ ოქროებში ჩავსვამენ.

„ძმებმა“ ყურები ჩამოყარეს და დაღვრემილნი
გამოვიდნენ სასახლის ქუჩაზე. გზაზე შალვა დარ-
დიანმა ჯიბეში ხელი ჩაიყრა და თავმჯდომარის მო-
ცემული... ათ შაურინი ამოიღო... თავმჯდომარ-
ისთვის არ შეუტყურობენია, მხოლოდ კი ერთი
ენერგიულათ გააფურთხა!

— ბიკებო, წარმოსთქვა ზანზარიშვილმა,

ტრამეისი ფული მაინც მოეცათ განა მთელი ქა-
ლაქი ფეხით უნდა შემოვივაროთ?

— მერე რა გვიშავს? უპასუხა დარდიანმა, მე
თუ მკითხავთ, ფეხით სიარული უფრო სასარგებ-
ლოა.

— შენ რა გიშავს, წაიბუზღუნა წუნიათ,
შოგზაურობაში დაგეშილი ხარ. გავიგე, რომ ქუს-
ლებზე ნალებიც გაკრავს თურმე.

— მერე რა რომ მაკრავს. გეხარბება?..

წუნია დაჩუმდა.

— ძმებო, წარმოსთქვა ალიოშა წრუწუნიათ,
ტრამეისი ფული ხომ არ გამოიმეტეს?! კეთილი!..
ჩვენც ხომ მოვალენი არა ვართ რომ ფეხსაცმელები
ტიყვილა-უბრალოთ, ესე იგი სრულიად უფა-
სოთ, დავცვიოთ.

— არა ვართ!

— ავდგეთ ჩვენცა, ფეხსაცმელები გავიძროთ
და ფეხშიშველებმა ვიაროთ!

— სა-უცხოვო პროექტია.

— მაშ, თუ ასეა, არც პალტოებისა და სერ-
თუკების ჩასაცმელი ქირა მოუციათ, წარმოსთქვა
განგაშიძემ, მაშ ესენიც დავიხადოთ.

— დავიხადოთ, დავიხადოთ.

კომისიის წევრები სასახლის ქუჩის კუთხეში
გაჩერდნენ, მიიხედ-მოიხედეს და დარაჯი რომ ვერ-
სად შეამჩნიეს, საჩქაროდ გაიხადეს ფეხსაცმელები,
პალტოები, სერთუკები... შეჰკრეს, ჯოხებზე ჩამოჰ-
კიდეს, ჯოხები მხრებზე გაიდეს და გოლოვინის
პროსპექტს დაადგნენ.

— საბურთალოზე ერთი კაი შენობა ვიცი.
მივიდეთ, ვნახოთ, სთქვა წუნიათ.

— ვნახოთ, ვნახოთ!

—

დალაღულნი, დაქანცულნი მივიდნენ საბურთა-
ლოზე. დარდიანი თავის ნალებს ოდნავ-და მიაპა-
კუნებდა.

გზის პირზე ერთი ქოხი იდგა და წუნიათ სწო-
რედ იმას მიაშურა...

— ზაქრო, ჰაი, ზაქრო! შესძახა ქოხში,—გა-
რეთ გამაიხედე, კაცო, სტუმრები მიიღე.

ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ ქოხიდან გამო-
ვიდა წუნიას ნაცნობი, ჩიბუხიანი ბერი კაცი.

— ვინა ხართ, ან რა საქმეზე მოსულხართ?
შეეკითხა ის დაუპატიუებელ სტუმრებს.

— ვალარ მიცანი, ზაქრო-ჯან? უთხრა წუნიათ
აღარ გახსოვს, მცხეთიდან რომ ფეხით მოვიდოდი
და დაღლილმა, დამე შენ ქერ ქვეშ გავათიე?

— ჰოო!.. მახსოვს, მახსოვს.

— ეხლა კი გთხოვ მოგვაქირაო ერთი შენი შენობა, რომელიც მე ჩემს პირველ მოსვლის დროს დავათვალიერე.

— რომელი შენობა?

— აგერ, ის.

— რად გინდა, კაცო საქათმე? განა მექათმეობა დაიწყე?

— რად გვინდა და შიგ თეატრი უნდა მოვაწყოთ და წარმოდგენები ვმართოთ ხოლმე, ერთხმით უბასუხეს კომისიის წევრებმა.

— მაშ, თქვენ აი... მეცირკეები ხართ, რაღა!

— ჰო! ჰო! არტისტები ვართ.

— არა, შეილოსა, მე საქათმეს ვერ მოგაქირავებთ, გადასწყვიტა ზაქარიამ.

— ეეჰ! ზაქრო-ჯან, რად იცი ხოლმე კაცის შეშინება!

— ბიჰო, მართალია, მა რა ჯანდაბაა, თქვენ რა კაცები ხართ, რომ საქათმე მოგაქირავოთ?

— ზაქრო, ძველი პურ-მარ ილი ნუ გვაფიწყებდებ! მოგვაქირავე! ფულსაც ბევრს მოგცემთ და ყველა წარმოდგენებზე უფასოდ შეგიშვებთ ხოლმე.

— იიმე! რას ჩამცივებხართ, კაცო! არა, არა, არა და არა!.. არ მოგაქირავებთ!.. აღარა მაქვს საქათმე და მევენჯრა!..

— მაშ ის რა არის? აიგერ, სახლის უკან, შეეკითხა წრუწუნია და საქათმეზე მიუთითა.

— ისა... ის... საქათმე კი არ არის... სალორეა.

— გინდ სალორე იყოს, გინა სჩივის, ოღონდ კი მოგვაქირავე!

— ვერა ძმაო, ვერ მოგაქირავებთ.

— გვაჩვენე მაინც! არ ვიქირავებთ, მხოლოდ გავსინჯავთ!

— თუ გეხალისებთ, გასინჯეთ, მაგრამ კიდევ გეტყვი, რომ ათას თუმანს რომ დამპირდეთ, მაიც ვერ მოგაქირავებთ.

— რა მშვენიერებაა, შესძახა ზანზარიშვილმა.

— აღიოშკა, როგორ ფიქრობ, რომელი არხიტექტორის აშენებული უნდა იყოს?

— არ ვიცი ვალიკო-ჯან!.. სტილი კი მშვენიერია!..

— რომ მოგვაქირავებდეს შენობას, ბუტბუტებდა ვალიკო, აქ, კარების წინ გავაშენებდით ბაღჩას, მარცხენა გვერდით თეატრს გვერდს და უმშვენიერდით მაგარ სასმელებიან „კაფე-პარიჟით“... აბა, ეხლა შიგნით ვნახოთ. ამ სიტყვებით ვალიკომ თავი შეჰყუო საქათმის პატარა კარებში.

— ჰაი, ქუა, ქუა, ქუა, მოისმა მისი ხმა საქათმიდან, აქ ქათმებიც ყოფილან... ძმებო მშვენიერი დარბაზია... აი, იმ ქანდაკასთან სცენას გავაკეთებდით, ამ ქანდაკაზე— „გალიორკას“... ლოკების ადგილიც კი არის.

დიდის გაქვირებით წელამდის საქათმეში შეძგრა წუნია, კარებში ვერ ეტეოდა.. როდესაც გაათავა „დარბაზის“ თვალიერება, უკან დაიხია, მაგრამ... ვაი ამ ყოფას ვერ გამოძვრა! ბევრი ეწვალა, ბევრი აფართხალა ფეხები, მაგრამ ამაოდ ბოლოს შეეხეწა ამხანაგებს.

— მიშველეთ! ფეხებში მოამკიდეთ ხელი და გამომართიეთ ამ დასაქცევ საქათმიდანო.

ჩაებლაუქენ ფეხებში, სწიეს, მაგრამ ვერ გამოძვირინეს საქათმიდან. ბოლოს ისე ენერგიულად გამოსწიეს, რომ საქათმე საძირკველს მოსძვრა, მაგრამ ისე მაგრა ყოფილიყო შეკრული, რომ ერთი ნაფოტიც არ ჩამოემტვრა!..

მორთო ზაქრომ ყვირილი: აი, თქვე შანტაჟისტებო, თქვე ყაჩაღებო! რა მიქენით ესა, რად გამიოხრეთ საქათმეო და კეტ მოღერებული დაედვენა მათ.

კომისიის წევრებმა მოჰკურცხლეს და მხოლოდ ტრამეის მეოხებით უშველეს თავს.

გოლოვინის პროსპექტზე რომ გამოვიდნენ, კომისიის წევრები ვაგონიდან გადმოსხეს, რადგან ფულს არ იხდიდნენ...
— საით წავიდეთ? შეეკითხა დარდიანი ვაღერიანს.

— ჰავლაბარში!

გაემგზავრენ ავლაბარისკენ...

ავლაბარში კომისია შეჩერდა ერთ პატარა თავლის წინ.

— კარგი შენობაა! წარმოსთქვა წუნია, — ძმობილო შენა ხარ ამ შენობის პატრონი? შეეკითხა იგი იქვე მდგომ ახმახ მეეტლეს.

— მე ვარ! რა გინდათ?

— შენი სასახლე გვინდა ვიქირავოთ.

— კეთილი!.. არ შეიძლება გავიგო თქვენი ვინაობა?

— ჩვენ... ე...ე... მეეტლები ვართ.

— მეეტლები? მერე წვერ-ულვაში რათა გაქვთ გაპარსული? ან ფეხშიშველა რათ დაიარებით?

— ცხელა, ჩემო კეთილო!

— არა თქვენ კოქებში გეტყობათ ვინცა

ხართი თქვენ ქართველი არტისტები ხართ გიც-
ნობთ რაც შეილება ბრძანდებით!.. არა, არა, მე
საჯინიბოს არ ვაქირავებ...

დადგრემილი გამობრუნდა კომისია...

მიხეილის ქუჩის დასაწყისში რომ მოაღწიეს,
კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

ფეხი მოუქარეს.. გაიქცენ... „ვეტცელის“
სასტუმროს პირდაპირ აიენის ქვეშ თავი შეაფარეს.

— აქ ნამდვილი სათეატრო ადგალია, წარ-
მოსთქვა წრუწუნია, სახურავის მაგიერობას აიე-
ნი გაგვიწევს და სცენათ კი ამ მაღაზიის „ვიტრი-
ნას“ ვიხმარებ.

— ჰო, ჰო, იდეალური თეატრი იქნება!

კომისია იყო ატუზული აიენის ქვეშ და სი-
ცივით კანკალებდა.

იქვე მდგომ წესიერების დამცველს არაფრად
ეკაზნიკა მათი სახის გამომეტყველება, არ მოეწონა
არც ის, რომ ფეხშიშველნი და ნახევრად ტან-
შიშველნი იყვნენ კომისიის წევრები.

— „ბოული ვონ ოსტისულაო“, შეუტია მან.

კომისიამ გაქუსლა დიდუბისაკენ ..

წვიმამ გადაიარა. მზე კვლავ გამოჩნდა და
აპრქყვიალა დანამული ბალახი ქალაქ გარედ მდ-
ბარე მინდვრებისა, სადაც ერთ დროს ქებურია კი-
სერს იტებდა თავისი ჰაეროპლანით.

სწორედ ამ ადგილზე მოვიდა კომისია და
უკანასკნელი მსჯელობა იქონია.

— ძმებო, ამისთანა სათეატრო ადგილს ვერ-
სად ვე ვიპოვით, ორატორობდა ვალერიან წუნია,
ხალხი ბალახზე გაუშვათ, ორ ჯოხს შუა ფარდა ჩა-
მოვადაროთ და დავატკობთ ქართველობა ჩვენი ნი-
ქიერი თამაშით.

— ცოცხალი დეკორაციები უფასოა, წარმო-
სთქვა წრუწუნია, აქეთ გაიხედავთ მტკვარი მიდუ-
ღუნებს, იქით მინდვრებია, იქითაც მთები...

არ დაგავიწყდეს, წასჩურჩულა ვალერიან წუ-
ნიამ დარდიანს, ჩვენ ნუნუას „პოსტავშიკი“ კარა-
პეტას უთხარი, რომ თეატრი აქ გვექნება თქო და
შენი კურთხეული ქარხანაც აქ გადმოიტანე თქო.
სიტყვა სიტყვით ასე უთხარი!

— კარგი! კარგი!

გუგული.

მთხსენება

ობჩა. ძმაო ეშმაკო, ჩვენცა გესურს
მოგინახულო სოფლადა,
იბოვო ვისაც სწყურია
გაწურვა ჭირის ოფლადა.

ჩვენში არსებობს ერთგვარი
„დამხმარებელი ბანკია“
წევრებიცა ყავს, მაგრამ რა,
ხალხისთვის მეტი ბარგია.

შეგვიბრდა: სიმინდს მოგაწვდით
ამ ძვირ-დროს ნაკლებ ფასებში,
თურმე, ნუ იტყვი—გაგვცვალეს
სვირის სადგურის ჩარჩებში.

აქ კი გლეხები დასტოვა
მწარე ცრემლ-ანატირები:
„რა ვქნათ, რა დღეში ჩავარდეთ
რით გამოგვკვებოთ შეილები!“

ჭყუპ.

ჩაქვი. შემთხვევით ჩაქვეში,
(ტუნელთან ბაღში)
დავჩი ერთ თვესა.
ბევრი ვისმინე
დაჩაგრულების
წუხილი, კვნესა.

ველარ გაუძელ
ბოლოს მათ ჯავრსა,
და აუტანელ
მოთქმა, ტანჯვასა.

უკუვიქეცი
ქულ-მოგლეჯილი,
მოვაწყდი სოფელს
გულგახეთქილი.

მსურს რომ გადმოგცე
აქედან სრულათ,
ვინც ბედკარულ მუშებს.
უტკერის მტრულათ.

მწარეთ მოსთქვამენ
შრომის შეილები,
სასტიკი ჯაფით
წელ-მოხრილები.

ოხვრენ, კენესიან,
ბელ-გამწყრალები,
მარად საესე აქვთ
ცრემლით თვალები.

მთელ დღეს შრომობენ,
ცეცხლი ედებათ,
წუთს მოსვენება
აღარ ერგებათ.

უქმი დღეები,
მათთვის საქმია,
და ხელფასებიც
მარტო ხათრია,

და მაინც ყვედრის,
მუშებს საწყლებსა,
ხმარობს ყოველგვარ
ზომებს მკაცრებსა.

კიდევ მგ. ლურად
ექცევ-ეპყრობა,
უსამართლობას
ვეგებ ვყარნობა.

იმ ზღვის პირელი
ბატონი მიხა,
ვინც რომ მუშები,
დატანჯულები
არ განიკითხა.

და აწ ეშმაკო,
ჩემო ბიძია!
შენც იცი კარგათ
ვინც რა ბრინჯია.

ვის უნდა მაგრათ
გამათრახება,
თუ იმ რაქველის
არ გეხატრება.

ჭაგნელი ბზიკი.



დასავლეთ საქართველოზე მევენახეთა საზოგადოება „კლიქსანდრო ული“

5 ივლისიდან დაიწყო

ღვინით ვაჭრობა

რაქა-ლენხუმის (ყიფიანის), სვირის, ქართლის და
სხვა ღვინოები. **ოლგას ქუჩა. სახლი № 8.**

ყოველდღიური საზოგადოებრივი, სამეცნიერო და სალიტერატურა გაზეთი

„თანამედროვე აზრი“

ფასი წლით 7 მ. ნახევ. წლ. 4 მ. 1 თვით 90 კ
ცალკე № 5 კ.
ადრესი: ფულის და წერილების გამოსავაზენი; Тифლის
почт. ящ. 199 Евгению Илларионовичу Урушадзе.
კანტორა: თფილისი, ბარონის ქ. № 15.

ყოველდღიური სალიტ. და საზოგადოებრივი გაზეთი

„სახალხო ფურცელი“

ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. ნახევ. წლ. 4 მ. 5 კ.
3 თვ. 2 მ. 25 კ. 1 თ. 75 კ. ცალკე № 5 კ.
ადრესი: Тифლის, Газ. „Сахалхо Пурцели“ почт. ящ. 190

ყოველდღიური გაზეთი

„საქართველო“

ფასი წლის დამოღებამდე 5 მანეთი „კლდის“ ხელის
მომწერთ, რომელთაც მთელი წლის ფული აქვთ
გადახდილი, გაზეთი გავგზავნებათ 1 მკათათვემდე.
ადრესი: Тифლის, Московская ул. № 4.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი.

ყოველკვირეული სათეატრო და სალიტერატურა ჟურნალი

„თეატრი და ცხოვრება“

ფასი: წლით: 5 მ. ნახ. წლ. 3 მ. ცალკე № 10 კ.
ადრესი: Тифლის, Ред. „Театри და Цховრება“
Иосифу Имедашвили.

ქალაქ თფილისში

გამოდის ეოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ **ეშმაკი და თაგუნა**,
ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

ჟურნალის ფასი 12 თვით 5 მ. ♦ 6 თვით 3 მ. ♦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ♦ თვით 50 კ.

„ეშმაკის მათრახში“ დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

◆ ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ

ამ ადრესით:

Тифлисъ *)


С. Р. Таварткиладзе.
Олгинская 6,
Почтов. яш. № 96.

(ეშმაკის მათრახისათვის)



*) ეს ადგილი კონვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმგვიფყებს მოვარგონებთ, რომ
◆ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ◆

ოგის ილიუსტრაციები.



როგორ აგებენ მართულ ხლართს ღამით სანგრების გასწვრივ.



მოკავშირეთა ჯარის მთავარსარდალი გენერალი ჟოზეფ-ჟაკ-კეზარე ჟოფრი და ინგლისელთა სარდალი ჯონ კიტჩენერი.

ნებდართუღა-სამს. ტენზორ. სტამბა. ამს. „შრომა“. რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე